დამტკიცებულია
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარის 2025 წლის 25 აგვისტოს
№ ს/45 ბრძანებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამეცნიერო ჟურნალის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამეცნიერო ჟურნალი (შემდგომში - ჟურნალი) საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი გამოცემაა.
2. ჟურნალის მიზანია სამართლის სფეროში სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება და სამართლის ქართული მეცნიერული სკოლის განვითარებისათვის ხელშეწყობა.
3. ჟურნალში შეიძლება გამოქვეყნდეს არასამეცნიერო შინაარსის მასალა (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოხსენებები, თარგმანები).
4. ჟურნალის სახელწოდებაა „სამართლის კულტურა“, ინგლისურ ენაზე „Legal Culture“.
5. ჟურნალს ენიჭება საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი ქართული გამოცემისათვის.
6. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ორჯერ ბეჭდვითი და ელექტრონული ფორმით.
7. ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსდება ჟურნალის ვებგვერდზე.
8. ჟურნალის ბეჭდური ვერსია ხელმისაწვდომია უსასყიდლოდ.
9. ჟურნალის ვებგვერდის მისამართია: www.legalculture.ge
10. ჟურნალის ელექტრონული ფოსტის მისამართია: jcl@constcourt.ge

მუხლი 2. ჟურნალის რედაქტორი

1. ჟურნალის საქმიანობას ორგანიზებას უწევს რედაქტორი (შემდგომში - რედაქტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
2. რედაქტორი უზრუნველყოფს სამართლის მეცნიერების საკითხებზე სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას.
3. რედაქტორი პასუხისმგებელია ჟურნალის აკადემიურ ხარისხსა და შინაარსზე.
4. რედაქტორი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე.
5. რედაქტორის ფუნქციებია:

ა) ჟურნალის გამოცემის (წელიწადში ორჯერ) ორგანიზება;

ბ) სარედაქციო პოლიტიკის შემუშავება და დასამტკიცებლად სარედაქციო საბჭოსათვის წარდგენა;
გ) სტატიების შერჩევის პროცესის შემუშავება და აღსრულება;
დ) გამოსაქვეყნებლად წარდგენილი სტატიების დამუშავება, რედაქტირება, ტექნიკური რედაქტირების ორგანიზება, თარგმანის ორგანიზება; რეცენზენტების შერჩევა სამართლის დარგების მიხედვით და გამოსაქვეყნებელი სტატიების მიწოდება სარეცენზიოდ;
ე) სტატიების აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფა - სტატიებში კვლევის მეთოდების, თემატიკის, ენობრივი და სტრუქტურული აგებულების კონტროლი;
ვ) ჟურნალის ეთიკური, აკადემიური და სხვა სტანდარტების შემუშავება, მათი დაცვის უზრუნველყოფა;
ზ) სტატიების შერჩევისას ჟურნალის საერთო და შესაბამისი გამოცემის კონცეპტის დაცვის უზრუნველყოფა;
თ) პლაგიატის, ფაბრიკაციის და სიყალბის კონტროლი - სტატიების შერჩევისას პლაგიატის, ფაბრიკაციის და სიყალბის აღმოჩენის უზრუნველყოფა და შესაბამისი რეაგირება;
ი) სარედაქციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სასამართლოს თავმჯდომარისათვის წარდგენა;
კ) ჟურნალის გამოცემისათვის, თარგმნისა და სხვა საქმიანობისათვის საჭირო დაფინანსების მოპოვება და დაფინანსების მენეჯმენტი;
ლ) შესაბამისი პროცედურების შემუშავება, რომელიც შეინარჩუნებს ჟურნალის ხარისხს, მიმართული იქნება ხარვეზების და პრობლემების აღმოჩენისაკენ, უზრუნველყოფს მონიტორინგს და ხარვეზების გამოსწორების გზებს;
მ) საგამომცემლო პროცედურების შემუშავება, მათ შორის, შესაბამისი გამოცემის გრაფიკის შექმნა (timeline), რომელიც მოიცავს სტატიების წარდგენის, სტატიების შერჩევის, რეცენზირების, რედაქტირების, შენიშვნების გასწორების, თარგმნისათვის და სხვა ეტაპების ვადებს, ასევე შესაბამისი პროცედურების აღწერას.
ნ) ჟურნალის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა სასამართლოს პარტნიორებთან თანამშრომლობით;
ო) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ან სხვა დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ურთიერთობა საჭიროებიდან გამომდინარე;
პ) დისკრიმინაციისა და ინტერესთა კონფლიქტის გარეშე პროფესიონალიზმზე დაფუძნებული საქმიანობის წარმოება. სარედაქციო პოლიტიკის წარმოებისას პოლიტიკური, კომერციული ან სხვა ხედვების გამორიცხვით წარმოება.

მუხლი 3. ტექნიკური რედაქტორი

1. ტექნიკური რედაქტორი უზრუნველყოფს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ტექნიკური და სტილისტური შესაბამისობის ხარისხს.
2. ტექნიკურ რედაქტორს ჟურნალის რედაქტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

3. ტექნიკური რედაქტორი არ მონაწილეობს შინაარსობრივი რედაქტირებისა და რეცენზირების პროცესში.

4. ტექნიკური რედაქტორის ძირითადი ფუნქციებია:

ა) გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატიების ტექნიკური ფორმატის: შრიფტის, სათაურების, ციტირების სტანდარტის, ბიბლიოგრაფიის გადამოწმება და ჟურნალის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) მასალების გრამატიკული, ლექსიკური და სტილისტური კორექტირება (სარედაქციო პოლიტიკის ფარგლებში);

გ) ჟურნალის მომზადებაში მონაწილეობა და მასალების ბეჭდვისთვის/ციფრული გამოქვეყნებისათვის ტექნიკური უზრუნველყოფა;

დ) ციფრულ არქივსა და ვებსაიტზე მასალების განთავსების პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა;

ე) შემოსული სტატიების ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმება;

ვ) სხვა ადმინისტრაციულ-ტექნიკური დავალებების შესრულება, რომლებიც ჟურნალში მასალების საჯარო ხელმისაწვდომობასა და ფორმატირებას უკავშირდება.

5. ტექნიკური რედაქტორი ვალდებულია, დაიცვას აკადემიური ეთიკის ნორმები და იმოქმედოს ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად.

მუხლი 4. ჟურნალის სარედაქციო საბჭო

1. ჟურნალის მართვის სარეკომენდაციო ორგანოა სარედაქციო საბჭო.

2. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრით, საბჭოს შემადგენლობაში შედის ჟურნალის რედაქტორი.

3. საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს სხვა წევრებს ნიშნავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

5. საბჭოს წევრია - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პარტნიორი უნივერსიტეტის ან ორგანიზაციის წარმომადგენელი (შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმის არსებობის შემთხვევაში).

6. საბჭოს წევრი შეიძლება იყოს - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, სამართლის დარგში მოღვაწე აღიარებული სწავლული.

7. საბჭოს წევრები, გარდა რედაქტორისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა, აირჩევა 3 წლის ვადით, საბჭოს წევრად ხელმეორედ არჩევა შეზღუდული არ არის.

8. საბჭო უფლებამოსილია:

ა) რედაქტორის წარდგინებით განსაზღვროს ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა;

ბ) რედაქტორის წარდგინებით დაადგინოს სტატიების აკადემიური სტანდარტები;

გ) რედაქტორის ან საბჭოს სხვა წევრების ინიციატივით შეარჩიოს გამოცემისათვის ერთი ან რამდენიმე თემა;

დ) რედაქტორის წარდგინებით ან საბჭოს სხვა წევრის ინიციატივით დაადგინოს ჟურნალისთვის სტატიების შერჩევის კრიტერიუმები.

9. საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ მაინც. დასაშვებია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საბჭოს წევრების ჩართვა შეკრებაში.
10. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით.
11. ჟურნალის სარედაქციო მმართველობა ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული აქტების საფუძველზე.
12. საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს განსაზღვრავს საბჭო.

მუხლი 5. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია
1. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია შედგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, ჟურნალის რედაქტორის, სამართლის დარგში აღიარებული ქართველი და უცხოელი მეცნიერებისაგან.
2. რედაქტორი უფლებამოსილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, მოახდინოს სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის შერჩევა ან მასში ცვლილებების შეტანა.

მუხლი 6. სტატიის ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმება
1. დაუშვებელია ჟურნალში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებში პლაგიატი. ავტორმა/ავტორებმა უნდა უზრუნველყონ ნაშრომში მოცემული ინფორმაციის წყაროს ზუსტი და სწორი მითითება.
2. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ყველა ნაშრომი მოწმდება პლაგიატის სპეციალურ პროგრამაში.
3. პროგრამის მიერ აღმოჩენილი დამთხვევები ინდივიდუალურად ფასდება რედაქტორის მიერ და ხდება მისი სისწორის დადგენა.
4. პროგრამის მიერ დამთხვევის დადგენის შემთხვევაში, ავტორს ეცნობება პლაგიატის აღმოჩენის შესახებ და მოეთხოვება განმარტების და შესწორების წარმოდგენა, რისთვისაც განისაზღვრება არა უმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღე.
5. პროგრამის მიერ 10%-ზე მეტი ზუსტი დამთხვევის დადგენის შემთხვევაში, ავტორს ეცნობება პლაგიატის აღმოჩენის შესახებ და მოეთხოვება განმარტების წარმოდგენა, არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა. თუ ავტორი უარს ამბობს განმარტებაზე, ნაშრომი არ განიხილება გამოსაქვეყნებლად. თუ ავტორის განმარტება მიუთითებს გულწრფელ შეცდომაზე ან დამთხვევის მიზეზი მკვლევარის გამოუცდელობაა, რედაქტორი უფლებამოსილია ავტორს განუსაზღვროს გონივრული ვადა, არა უმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, შეცდომის გამოსასწორებლად.
6. რედაქტორის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ნაშრომი ჟურნალში არ გამოქვეყნდება.
7. გამოქვეყნებულ ნაშრომში მესამე პირის მიერ პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, აღმომჩენი უფლებამოსილია, მიმართოს ჟურნალის რედაქტორს (ელ.ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: jcl@constcourt.ge) და მოითხოვოს ფაქტის გამოკვლევა, აგრეთვე პლაგიატის პროგრამიდან ამონაწერი დამთხვევების შესახებ. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ჟურნალის მომდევნო გამოცემაში განთავსდება პლაგიატის შესახებ ინფორმაცია და რედაქტორი იტოვებს პლაგიატი

ავტორის/ავტორების მიერ მომავალში წარდგენილი ნაშრომების გამოქვეყნებაზე უარის თქმის უფლებას.

მუხლი 7. სტატიის რეცენზირება

1. სამეცნიერო სტატია, ცალკეულ შემთხვევაში, ეგზავნება ფარულ რეცენზენტს, თუ იგი წარმატებით გაივლის შემოწმებას ანტიპლაგიატის პროგრამაზე.
2. სტატია გამოქვეყნდება იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი ნაშრომს დადგენილი კომპონენტების მიხედვით, შეაფასებს დადებითად.
3. რეცენზირება არის სრულიად ანონიმური.
4. სტატიის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) ნათლად დასახული მიზანი;
ბ) პრობლემის ანალიზი;
გ) მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნა;
დ) კარგად სტრუქტურირებული და ლოგიკურად ორგანიზებული ტექსტი;
ე) სათაური უნდა შეესაბამებოდეს სტატიის შინაარსს;
ვ) რეზიუმე უნდა ნათლად გამოხატავდეს სტატიის მიზნებსა და შედეგებს;
ზ) დასკვნა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს ტექსტის ძირითადი შინაარსიდან;
თ) ბიბლიოგრაფია უნდა შეესაბამებოდეს ფორმალურ მოთხოვნებს;
ი) სტატიის ენა და სტილი უნდა იყოს დაცული.

მუხლი 8. ჟურნალში განთავსებული სტატიების საავტორო უფლებები

1. ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებზე ავტორები ჟურნალს გადასცემენ განსაკუთრებულ (ექსკლუზიურ) ლიცენზიას, რაც აგრეთვე მოიცავს მასალის ბეჭდური და ელექტრონული სახით გამოყენებას, თარგმანს, ვიზუალურ დამუშავებას. ავტორებს რჩებათ უფლება, გადაამუშაონ და რეპროდუცირება გაუკეთონ საკუთარ ნამუშევრებს იმ პირობით, რომ ჟურნალი, როგორც პირველადი გამოცემის წყარო, მითითებული იქნება და ჟურნალს ამის შესახებ წინასწარ ეცნობება წერილობითი სახით;
2. ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომები ან/და ნებისმიერი სხვა მასალა ექვემდებარება ლიცენზიას, რაც გულისხმობს გამოყენების უფლებას ნებისმიერი მიზნით, წყაროს მითითების პირობით. ლიცენზიის თანახმად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გააზიაროს, გაავრცელოს, რეპროდუქცია გაუკეთოს ჟურნალს ან მის რომელიმე ნაწილს, მათ შორის, კომერციული მიზნით, რა შემთხვევაშიც იგი ვალდებულია, სრულად მიუთითოს წყარო, შესაბამისი ელექტრონული მისამართი და ცვლილებების გაკეთების შემთხვევაში წარმოაჩინოს ეს ცვლილებები.